ანალიტიკური წერა

II ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის ერთ-ერთ უბანში დიდი პოპულარობით სარგებლობს სასპორტო კომპლექსი ორი საცურაო აუზით, რომლებიც განკუთვნილია როგორც უფროსების, ისე ბავშვებისათვის. გამოცდილი ინსტრუქტორები დღის ნებისმიერ მონაკვეთში კონსულტაციას უწევენ კლიენტებს. იმავე შენობაში არის კაფე, სადაც მისაღებ ფასებში შესაძლებელია მსუბუქად წახემსება.

ამავე უბანში გაიხსნა კიდევ ერთი სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი აუზით, რომელიც წყლის აერობიკისათვის არის განკუთვნილი. იქვეა მოწყობილი სოლარიუმი. ასევე, არის მაღაზია, რომელშიც ცნობილი სპორტული ფირმების ტანსაცმელი იყიდება.

ახალი ცენტრის ერთთვიანი მუშაობის შემდეგ გაირკვა, რომ მან კლიენტები ვერ მიიზიდა. მფლობელებმა დაასკვნეს, რომ, მიუხედავად მათი მცდელობისა, ცენტრმა პოპულარობა ვერ მოიპოვა და მისი დახურვა გადაწყვიტეს.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომელთა გამო ახლადგახსნილმა ცენტრმა კლიენტები ვერ მიიზიდა. კრიტიკულად შეაფასეთ ამ ცენტრის მფლობელთა გადაწყვეტილება.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

თანამედროვე ადამიანი, რომელიც ბუნებასთან სიახლოვეს არის მოკლებული, განსაკუთრებით დაინტერესებულია ეკოტურიზმით. ამიტომ შესაბამისმა სამსახურებმა უნდა იზრუნონ რეგიონების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და ნაკლები ყურადღება დაუთმონ ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მოვლასა და მოწესრიგებას.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ. თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

იმისათვის, რომ ნაწერი ყველა კრიტერიუმის მიხედვით გასწორდეს, ის არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.